

**ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის
სასწავლო კურსების
თემატური გეგმები**

შესავალის სპეციალობაში 1

- სპეციალობის ისტორიული ასპექტები
- შეზღუდული შესაძლებლობები და რეაბილიტაციის პრინციპები
 - ტრადიციული სამედიცინო მოდელი
 - ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სოციალური მოდელი;
 - რეაბილიტაციის პროცესი
- ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია - ავტონომური სპეციალობა
 - ავტონომური სპეციალობის კრიტერიუმები
 - ფილოსოფია
 - მიზნები
 - მეთოდოლოგია
- რეაბილიტოლოგის როლი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში
 - სამედიცინო ამოცანა
 - მედიკოსოციალური ამოცანა
 - სპეციალობის მიზნები და სტანდარტები
- მული/ინტერდისციპლინური მუშაობა
- დაავადებათა პრევენციის სტრატეგია ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის კონტექსტში: პირველადი, მეორეული, მესამეული პრევენცია.

შესავალის სპეციალობაში 2

- რეაბილიტაციის პროგრამა.
- ქრონიკული დაავადებების რეაბილიტაცია; ფიზიკური თერაპია სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში;
- კომუნიკაციის საფუძვლები ფიზიკურ თერაპიაში;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების ინსტრუმენტები (კოგნიცია, დეპრესია, სტრესი, და სხვ.);
- დაავადებათა პრევენციის სტრატეგია ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის კონტექსტში- გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებების პრევენციის წარმატებული მოდელები.
- დაავადებათა მართვის სტრატეგია ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის კონტექსტში - ნეირორეაბილიტაციის მოდელი;
- ინფორმაცია და დოკუმენტაცია ფიზიკურ თერაპიაში (SOAP, პაციენტის კმაყოფილების კითხვარი, ელექტრონული რესურსები)
- გადაუდებელი მდგომარეობები;
- ფიზიკური რეაბილიტაციის უსაფრთხო პრაქტიკა.

დინამიკური ანატომია-1

- ადამიანის სხეული, როგორც ბიომექანიკური სისტემა. სხეულის მორფოფუნქციური თავისებურებანი. ადამიანის მოძრაობა, მოძრაობის სახეები-ანატომიური ცნებები და ტერმინები;
- ზოგადი წარმოდგენა ადამიანის სხეულის სიმძიმის ცენტრზე. სხეულის სიმძიმის ცენტრი და წონასწორობა. ასაკობრივი თავისებურებანი
- საყრდენ-მამოძრავებელიაპარატი: პასიური ნაწილი-ძვალთა კომპლექსი-ჩონჩხი. მათი როლი სხვა ტიპის მოძრაობის განხორციელებაში. ძვლების და ძვალთა შეერთებების მორფოფუნქციური დახასიათება. ძვლოვანი ქსოვილის უჯრედების მორფო-ფუნქციური დახასიათება.ძვლის ტიპები, ოსტეოგენეზი. ხრტილოვანი ქსოვილის მორფო-ფუნქციური თავისებურებანი.
- ძვლის მასა, ძვლის პიკურიმასა, ძვლის მინერალური სიმკვრივე. ძვლის მოდელირება რემოდელირება. ოსტეოპოროზი და ოსტეოპენია.
- საყრდენ-მამოძრავებელი აპარატი: აქტიური ნაწილი- კუნთები. მათი ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი. ზოგადი წარმოდგენები ჩონჩხის განივზოლიან კუნთებზე. კუნთის მორფოფუნქციური დახასიათება. კუნთოვანი სისტემის მექანიკური თავისებურებანი. ფაზური და ტონური კუნთები. კუნთთა ჯგუფები და მოძრაობა.
- კუნთთა ბიოდინამიკის საფუძვლები. ბიოკინემატიკური წყვილები და ჯაჭვები. კუნთთა ტონუსი. კუნთთა მუშაობის სახეები. აანტაგონიზმი და სინერგიზმი კუნთთა მუშაობაში. კუნთთა ტონუსის, მასისა და ძალის ასაკობრივი ცვლილებები. მორფოფუნქციური ცვლილებები ძვლოვან და კუნთოვან სისტემებში ონტოგენეზში. ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემების ბიოდინამიკის ასაკობრივი და სქესობრივი თავისებურებანი.
- კუნთოვანი ბოჭკოების რეკრუტირება. კუნთოვანი ძალის გამოვლენა, ნერვ-კუნთოვანი აპარატის ფუნქციური შესაძლებლობების შეფასების პრინციპები. ამტანობა და გამძლეობა. გამძლეობის განვითარების საშუალებები.
- ნერვული სისტემის როლი სომატური და გამტარებლობითი ფუნქციების მართვაში და მოძრაობის რეგულაციაში. ზურგის ტვინი, როგორც ორგანიზმის რთულ მოძრაობით რეაქციებში მონაწილე.
- ზურგის ტვინის გამტარი გზები. ზურგის ტვინის რეფლექსური ფუნქცია. ზურგის ტვინის დაზიანების დროს სიმპტომებისა და სინდრომების ანატომიური დასაბუთება.
- სხეულის პოზისა და მოძრაობების ნერვული რეგულაცია. მოძრაობითი სტერეოტიპი. მოძრაობების მართვა: ნ.ა.ბერშტეინის თეორია მოძრაობის მართვის დონეების (რუბრო-სპინალური, თალამო-პალიდური, პირამიდული სისტემა და ზოლიანი სხეული, უმაღლესი ქერქული) შესახებ. კუნთების ფუნქციური აქტივობის მომატება (დამოკლება) და ფუნქციური აქტივობის კლება (მოდუნება-კუნთების სენსომოტორული რეგულაციის აღზნებადობის კლება).
- ჩონჩხი და ტორსის ბიოდინამიკა- ხერხემლის სვეტი. ხერხემლის სვეტის და თავის მოძრაობები. კისრის ორგანოების გადაადგილების თავისებურება თავის მოძრაობასთან დაკავშირებით.

- თავის მიდამო. საფეთქელ-ქვედაყმის სახსარი. კისრის მიდამო. ამ მიდამოების გარეგანი ორიენტირები, ძვლოვანი სტრუქტურების რადიონატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. კისრის წნული.
- გულმკერდის მიდამო. გულმკერდის ღრუ. ძვლოვანი სტრუქტურების რადიონატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. გულმკერდის ჩონჩხის ბიოდინამიკა.
- ზედა კიდურის მოძრაობის მექანიზმები: ზემხარის (ბეჭის, დელტისებრი, ილლიის, ლავიწქვედა) მიდამოები. ძვლოვანი სტრუქტურების პალპაცია, ოსიფიკაცია, რადიონატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. მხრის სარტყელის მოძრაობა.

დინამიკური ანატომია 2

- ზედა კიდურის თავისუფალი ნაწილის ბიოდინამიკა- მხრის, იდაყვის, ძვლოვანი სტრუქტურების პალპაცია, ოსიფიკაცია, რადიონატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. მხრის შეერთებანი და მოძრაობები.
- ზედა კიდურის თავისუფალი ნაწილის ბიოდინამიკა-წინა მხრის, მაჯის ძვლოვანი სტრუქტურების პალპაცია, ოსიფიკაცია, რადიონატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. წინა მხრის შეერთებანი და მოძრაობები ზედა კიდურის თავისუფალი ნაწილის ბიოდინამიკა- ხელის მტევანი ხელის გული, მისი შემაერთებელქსოვილოვანი სივრცეები, ხელის ზურგი. თითები. ამ მიდამოების: ძვლების პალპაცია, ოსიფიკაცია. რადიონატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. ხელის მტევნის შეერთებანი და მოძრაობები.
- თითების შეერთებანი და მოძრაობები. ზედა კიდურის მოძრაობის თავისებურებანი. კლინიკური სიმპტომებისა და სინდრომების ტოპოგრაფიულ-ანატომიური საფუძვლები: „ბრჭყალისმაგვარი მტევნის“ სიმპტომი იდაყვის ნერვის დაზიანების დროს.
- კლინიკური სიმპტომებისა და სინდრომების ტოპოგრაფიულ-ანატომიური საფუძვლები: „დაკიდული მტევნის“ სიმპტომი სხივის ნერვის დაზიანების დროს, „მაიმუნის მტევნის“ სიმპტომი საშუალო ნერვის დაზიანების დროს.
- ფეხზე დგომის პოზის ფუნქციური ანალიზი. ქვედა კიდურის ბიოდინამიკა-მენჯის სარტყელი, დუნდულის მიდამო. ძვლების პალპაცია, ოსიფიკაცია. რადიონატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. წელის, გავის, კუდუსუნის წნულები. ძვალთაშეერთებანი დამოძრაობა. კლინიკური სიმპტომებისა და სინდრომების ტოპოგრაფიულ-ანატომიური საფუძვლები: მსხლისებური კუნთის სინდრომი.
- ქვედა კიდურის თავისუფალი ნაწილის ბიოდინამიკა-ბარძაყის მიდამო. ძვლების პალპაცია, ოსიფიკაცია. რადიონატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. ძვალთაშეერთებანი, მოძრაობა მენჯ-ბარძაყის სახსარში. კლინიკური სიმპტომებისა და სინდრომების ტოპოგრაფიულ-ანატომიური საფუძვლები: „უკანსვლის“ სიმპტომი თემოს წინა ზედა წვეტის იზოლირებული მოტეხილობის დროს. ბარძაყის დეფორმაცია „გალიფეს“ ფორმით.
- მუხლის მიდამო. მუხლის სახსარი .ძვლების პალპაცია, ოსიფიკაცია. რადიონატომია.

კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. მოძრაობა მუხლის სახსარში. კლინიკური სიმპტომებისა და სინდრომების ტოპოგრაფიულ-ანატომიური საფუძვლები: „გამოწეული უჯრის“ სიმპტომი ჯვარედინა იოგების დაზიანების დროს.

- ქვედა კიდურის თავისუფალი ნაწილის ბიოდინამიკა-წვივის მიდამო. ძვლების პალპაცია, ოსიფიკაცია. რადიოანატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. წვივის ძვალთა შეერთებანი. კლინიკური სიმპტომებისა და სინდრომების ტოპოგრაფიულ-ანატომიური საფუძვლები: „მამლისებრი ნაბიჯის“ სინდრომი მცირე წვივის საერთო ნერვის დაზიანების დროს.
- ქვედა კიდურის თავისუფალი ნაწილის ბიოდინამიკა-კოჭ-წვივის სახსრის მიდამო. ტერფის მიდამო. ძვლების პალპაცია, ოსიფიკაცია. რადიოანატომია. კუნთების პალპაცია, ინერვაცია, ფუნქციური აქტივობა. მოძრაობა კოჭ-წვივის სახსარში. ტერფის ძვალთა შეერთებანი, ტერფის მოძრაობა.
- ქვედა კიდურის თავისუფალი ნაწილის ბიოდინამიკა-ტერფის თითების მოძრაობა. ქვედა კიდურის მოძრაობის თავისებურებანი. სხეულის ზოგიერთი ძირითადი სტატიკური მდგომარეობის მორფოფუნქციური უზრუნველყოფა: ფეხზე დგომა, ჯდომა, წოლა.
- სხეულის სივრცეში გადანაცვლების (ლოკომოციის) მორფოფუნქციური უზრუნველყოფა: (სიარული, ასვლა, ჩასვლა)-კუნთების ბიოელექტრული აქტივობის განსაზღვრა ნორმისა და პათოლოგიების დროს, სხვადასხვა ტემპით სიარულისას ბავშვებში, მოზრდილებში და მოხუცებში.

ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია

- მწვავე და ქრონიკული საპასუხო რეაქციები ფიზიკურ დატვირთვაზე. მომუშავე კუნთების თავისებურებანი.
- ბიოენერგეტიკა და კუნთის მეტაბოლიზმი. ენერჯის წყაროები. ენერჯის შენახვა. საბაზისო ენერგეტიკული სისტემები.
- ფიზიკური დატვირთვის ნერვული კონტროლი.
- სენსორულ-მოტორული ინტეგრაცია. ავტონომიური ნერვული სისტემის ფიზიოლოგიური რეაქცია/ადაპტაცია, პრაქტიკული ტესტის განხორციელება.
- მომუშავე კუნთების ჰორმონალური კონტროლი. მეტაბოლიზმის, სითხისა და ელექტროლიტების ბალანსის ჰორმონალური კონტროლი ფიზიკური დატვირთვის დროს და კალორიების მიღება.
- სასუნთქი სისტემის რეგულაცია ფიზიკური დატვირთვის დროს. ფილტვის ვენტილაცია, ფილტვის მოცულობები, ფილტვის დიფუზია, აირთა ცვლა კუნთებში. სასუნთქი სისტემის ფუნქციური შეფასება, პიკფლოუმეტრია.
- გულ-სისხლძარღვთა სისტემის კონტროლი ფიზიკური დატვირთვის დროს. გული, სისხლძარღვთა სისტემა და სისხლი.
- გულ-სისხლძარღვთა სისტემის საპასუხო რეაქცია მწვავე ფიზიკური დატვირთვის მიმართ. ენერჯის მოხმარება და დაღლა. ზოგადი მუშაობისუნარიანობის ტესტის ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური საფუძვლები. ტესტის პრაქტიკული განხორციელება.
- წვრთნა, ადაპტაცია რეზისტენტული წვრთნის მიმართ. ადაპტაცია აერობული და ანაერობული წვრთნის მიმართ.

- გარემო ფაქტორების ზემოქმედება ფიზიკური აქტივობის ეფექტურობაზე სპორტში. ფიზიკური დატვირთვა ცხელ და ცივ გარემოში და სიმაღლეზე.
- ფიზიკური შესრულების ოპტიმიზაცია სპორტში. სხეულის აგებულება და მისი შეფასება. კვების საკითხი სპორტში. წვრთნის ოპტიმიზაცია. წვრთნის პერიოდიზაცია. გადაწვრთნა. ერგოგენული დახმარება სპორტში.
- ასაკისა და სქესის გათვალისწინება სპორტსა და ფიზიკურ დატვირთვაში. ბავშვები და მოზარდები სპორტში. დაბერების საკითხი სპორტსა და ფიზიკურ დატვირთვაში.
- ფიზიკური აცტივობა ჯანმრთელობასა და ფიტნესისთვის. ვარჯიშების დანიშვნა ჯანმრთელობასა და ფიტნესისთვის. კარდიოვასკულური დაავადება, სისმუქნე და ფიზიკური აქტივობა.

კლინიკური და ფუნქციური შეფასება ფიზიკურ მედიცინაში 1

- კლინიკური და ფუნქციური შეფასების ძირითადი ასპექტები ფიზიკურ რეაბილიტაციაში, სკრინინგი ფიზიკურ რეაბილიტაციაში.
- ორგანოთა სისტემების სკრინინგი- სასიცოცხლო ნიშნები მოსვენებით მდგომარეობაში და აქტივობის დროს;
- კარდიო-რესპირაციული სისტემის შეფასება.
- ორგანოთა სისტემების სკრინინგი- სენსორული ფუნქცია; კრანიალური ნერვების სკრინინგი, შეფასების სტრატეგია ფიზიკურ რეაბილიტაციაში.
- მოტორული ფუნქციის შეფასება - კუნთის ტონუსის შეფასება;
- სახსრების, პოზის და მობილობის ინტეგრაცია; საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის კლინიკური და ფუნქციური შეფასება.
- სომატოსენსორული სტიმულაცია, ტესტების ძირითადი კატეგორიები.
- კოორდინაციის სისტემა- კოორდინაციის დარღვევები, კოორდინაციის გამოკვლევა.

კლინიკური და ფუნქციური შეფასება ფიზიკურ მედიცინაში 2

- სისტემათა სკრინინგი- კუნთების შეფასება, აქტიური და პასიური მოძრაობის სიფართო, კუნთების ძალა. შესავალი გონიომეტრიასა და კუნთების სიგრძის ტესტირებაში, ძირითადი კონცეპციები, პროცედურები; გონიომეტრიის გაზომვების ვალიდურობა და სანდოობა. ჰიპომობილობა და ჰიპერმობილობა; მოძრაობის სიფართოზე გავლენის მქონე ფაქტორები. გონიომეტრების ტიპები.
- პოზიციონირება, სტაბილიზაცია, სიფრთხილის ზომები პროცედურის განხორციელების დროს, მომზადება და პროცედურის განმარტება. ფუნქციური მოძრაობის სიფართო.
- კუნთების მანუალური შეფასება. კუნთების ფუნქციური ტესტირება.
- კუნთების მანუალური ტესტირების პრინციპები.
- კუნთების ტესტირების გრადაცია - შეფასების კრიტერიუმები;
- ზედა კიდურის ტესტირება: მხარის, წინამხარის, იდაყვის, მაჯისა და მტევნის გონიომეტრია. ზედა კიდურის ფუნქციური შეფასება, კუნთის მანუალური ტესტირება.
- ქვედა კიდურის ტესტირება: მენჯ-ბარძაყის, მუხლის, კოჭ-წვივისა და ტერფის

- გონიომეტრია. ქვედა კიდურის ფუნქციური შეფასება, კუნთის მანუალური ტესტირება.
- ხერხემლის ტესტირება: კისრის, გულმკერდისა და წელის არის გამოკვლევა.
- კისრის, გულმკერდისა და წელის არის ფუნქციური შეფასება.
- სარეაბილიტაციო შეფასება ჯანმო-ს ფუნქციონირების საერთაშორისო კლასიფიკაციის გამოყენებით (ICF). ფუნქციონირების საერთაშორისო კლასიფიკაცია და მისი გამოყენება სხვადასხვა ტიპის შეზღუდული უნარის მქონე პაციენტებთან: მოკლე ფორმატი.
- ორთოპედიული სპეციალური ტესტები პაციენტის სარეაბილიტაციო მართვაში;
- ზედა და ქვედა კიდურების ორთოპედიული ტესტები;
- პაციენტის დამოუკიდებლობის დონე და ასისტირების საჭიროება; მრავალასპექტიანი ფუნქციური შეფასების ინსტრუმენტები: ფუნქციური დამოუკიდებლობის საზომი, სტრუქტურა და გამოთვლა, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო / ინსტრუმენტული ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობების (ADL/IADLs) დასადგენად პაციენტის სარეაბილიტაციო მართვის პროცესში;
- ICF – პაციენტზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტი, გარემოს შეფასება;
- ფუნქციაზე გარემოს გავლენის გაზომვა. რელევანტური გარემო ფაქტორები – სოციალური მდგომარეობა, ოჯახი, მეგობრები, საზოგადოება, სამუშაო ადგილი;
- გარემოს ადაპტაცია: ვიზუალური აღწერა და ფიზიკური სივრცის ზომები;
- ადგილზე ვიზიტი, “პაციენტი-საცხოვრებელი ადგილი” გარემოს ურთიერთკავშირი: ხელმისაწვდომობის, გამოყენებადობის და უსაფრთხოების/ მიმოხილვა; სამუშაო ადგილის შეფასება.

- მასაჟის ზოგადი საფუძვლები**
- მასაჟის განვითარების ისტორია
 - მასაჟის ფიზიოლოგიური საფუძვლები
 - მასაჟის სანიტარულ-ჰიგიენური საფუძვლები და მასაჟის პროცედურის მართვა
 - მასაჟის სახეობები
 - მასაჟის ჩვენებები და უკუჩვენებები
 - მასაჟის ტექნიკა - ძირითადი და დამხმარე ილეთები:
 - ხელსმა;
 - თელვა;
 - დაზელვა;
 - ვიბრაცია;
 - დარტყმითი ილეთები.
 - რეფლექტორული მასაჟის ცნება და პრინციპები.
 - მასაჟის სხვა სახეები:
 - კრიო-მასაჟი;
 - ჰიპოთერმული მასაჟი;
 - ჰიდროთერაპია და SPA-პროცედურები;
 - პერკუსიული მასაჟი;
 - მასაჟი სუნთქვის აქტივაციისთვის;
 - ვაკუუმ-მასაჟი;
 - ტკივილგამაყუჩებელი (ანალგეზიური) მასაჟი;

- რეცეპტიულ-რელაქსაციური მასაჟი.
- სხეულის ცალკეული მიდამოების მასაჟი:
 - თავის, საყელოს ზონის და სახის მასაჟი;
 - ზემო კიდურების მასაჟი;
 - ქვემო კიდურების მასაჟი;
 - გულმკერდის მასაჟი;
 - მუცლის მიდამოს მასაჟი;
 - ზურგის მასაჟი.
- გამაჯანსაღებელი მასაჟი.

მანუალური თერაპია

ლექციების თემატური გეგმა:

- მანუალური თერაპიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა; მანუალური თერაპიის გამოყენება მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში;
- მანუალური თერაპიის ფიზიოლოგიური მექანიზმები.
- მანუალური დიაგნოსტიკის და თერაპიის საფუძვლები; ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები .
- სამკურნალო ზემოქმედების სახეები მანუალურ თერაპიაში: რელაქსაცია, მობილიზაცია, მანიპულაცია.
- ზემო კიდურების სახსრების ანატომიური აგებულების თავისებურებები, შესაძლო მოძრაობები, მანუალური დიაგნოსტიკისა და თერაპიის პრინციპები.
- ქვემო კიდურების სახსრების ანატომიური აგებულების თავისებურებები, შესაძლო მოძრაობები, მანუალური დიაგნოსტიკა და თერაპია.
- ხერხემლის კისრის მიდამოს ანატომიური აგებულების თავისებურებები, შესაძლო მოძრაობები, მანუალური დიაგნოსტიკა და თერაპია.
- ხერხემლის გულმკერდის მიდამოს ანატომიური აგებულების თავისებურებები, შესაძლო მოძრაობები, მანუალური დიაგნოსტიკა და თერაპია.
- ხერხემლის გავა-წელის მიდამოს ანატომიური აგებულების თავისებურებები, შესაძლო მოძრაობები, მანუალური დიაგნოსტიკა და თერაპია.
- მანუალური თერაპია სარეაბილიტაციო და ჯანდაცვის კონტინიუმში

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- სახსრების მოძრაობის მოძრაობის სიფართისა და დიაპაზონის განსაზღვრის მეთოდი. სახსრების მოძრაობის ნომრალური დიაპაზონი.
- ხერხემლის მანუალური დიაგნოსტიკა და თერაპია - მანუალური ზემოქმედება ხერხემლის სეგმენტებზე და საყრდენ-მამოძრავებელ აპარატზე: ხერხემლის კისრის სეგმენტის ტრაქციული მობილიზაციის სახეობები; ხერხემლის კისრის სეგმენტის როტაციული, ვენტრო-დორსალური და ლატერო-ლატერალური მობილიზაცია; სხვადასხვა სახის სპეციფიური, დიფერენცირებული სამანიპულაციო ტექნიკა.
- სხვადასხვა სახის სპეციფიური დიფერენცირებული სამანიპულაციო ტექნიკა გულმკერდის დონეებზე. სხვადასხვა ტიპის მოხრითი (ფლექსიური), გაშლითი (ექსტენზიური) და ლატეროფლექსიური, როტაციული მობილიზაციის ტექნიკა ხერხემლის გულმკერდის ზედა, შუა და ქვედა, გულმკერდი-წელის გადასვლის ნაწილებში; როტაციული მანიპულაციები გულმკერდისა და გულმკერდი-წელის გადასვლის ნაწილებში, ბეჭის მობილიზაციის ტექნიკა.
- ტრაქციული ზემოქმედება ხერხემლის გავა-წელის ნაწილში; მოხრითი (ფლექსიური), გაშლითი (ექსტენზიური) და ლატეროფლექსიური მობილიზაციის ტექნიკა ხერხემლის გავა-წელის მიდამოზე, მენჯის მობილიზაცია;
- ხერხემლის სეგმენტების და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის პოსტიზომეტრული რელაქსაციის ჩატარების ტექნიკა.
- ზემო კიდურების სახსრების მანუალური დიაგნოსტიკა და თერაპია.
- ქვემო კიდურების სახსრების მანუალური დიაგნოსტიკა და თერაპია.

ლოგოპედია

- ლოგოპედიის საგანი, მისი განვითარების ისტორია, ლოგოპედიის განვითარების ისტორია საქართველოში. ლოგოპედიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან.
- ენისა და მეტყველების განვითარება და დარღვევები
- ენისა და მეტყველების დარღვევის დროს ინტერვენციული მიდგომები
- მეტყველების ნაკლოვანებათა ეტიოლოგია;
- მეტყველების ნაკლოვანებათა კლინიკურ-პედაგოგიური და ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კლასიფიკაცია.
- მეტყველების ნაკლოვანებათა სახეები;
- თავის ტვინის ლოკალური დაზიანების შედეგად გამოწვეული მეტყველების ნაკლოვანებები. ალალია. აფაზია.
- ალალიის მქონე ინდივიდებთან მუშაობის მეთოდიკა;
- აფაზია - ბავშვებში და მოზრდილებში მეტყველების შექნილი დარღვევა.
- დიზართრია;
- ბავშვთა ცერებრული დამბლის შედეგად გამოწვეული მეტყველების დარღვევა.
- რინოლალია, ხმის ტემბრის და ბგერათწარმოქმნის დარღვევა განპირობებული სამეტყველო აპარატის ანატომიურ-ფიზიოლოგიური დეფექტი, ფუნქციური და ორგანული რინოლალია. მისი კორექციის მეთოდიკა.
- დისლალია, ბგერათწარმოქმნის დარღვევა ნორმალური სმენისა და სამეტყველო აპარატის

შენარჩუნებული ინერვაციის დროს; მისი ფორმები და კორექციის მეთოდები.

- ლოგონევროზი. მეტყველების ტემპის და რიტმული ორგანიზაციის დარღვევა;
- მეტყველების ტემპის დარღვევა ტაქილალია, ბრადილალია, კორექციის მეთოდები;
- მეტყველების საერთო განუვითარებლობა. მისი კლინიკურისახეები და დონეები.
- დისლექსია და დისგრაფია; მათი კორექციის მეთოდიკა.
- კომუნიკაციის განვითარება და დარღვევები
- ინტერვენციები კომუნიკაციური დარღვევების შემთხვევაში
- აუტიზმი. მეტყველების, როგორც საურთიერთობო საშუალების გამოყენების უუნარობა. ყურადღების დეფიციტი.
- დისფონია (აფონია), ხმის დარღვევები, ფონაციის დარღვევა ან უქონლობა, გამოწვეული სახმო აპარატის პათოლოგიით. ცენტრალური, ასევე პერიფერიული ბგერათწარმომქნელი მექანიზმის ორგანული ან ფუნქციური დაზიანება.
- ლოგოპედიური ზემოქმედების პრინციპები და მეთოდები. საერთო დიდაქტიკური მიდგომა; სისტემატურობა, თანმიმდევრობა, მისაწვდომობა, შეგნებულობა და ინდივიდუალური მიდგომა.

პროთეზირება და ორთეზირება რეაბილიტაციაში

- კიდურების პროთეზირებას
- კიდურების და ხერხემლის სვეტის ორთეზირებას
- მოდრაობის დამხმარე საშუალებებს

- პროთეზირება:
 - პროთეზირების განმარტება, ისტორია, პროთეზის სახეობები, ამპუტაციის კლასიფიკაცია, ამპუტაციის პრინციპები, პროთეზირების ჩვენება/წინააღმდეგჩვენება;
 - პაციენტის მომზადება პროთეზირებისათვის;
 - პროთეზის დამზადება, პროთეზის დასამზადებლად გამოყენებული მასალები;
 - პროთეზის მორგება და ფიზიკური თერაპია, პროთეზის მორგების შეფასება;
 - პროთეზირების შემდგომი გართულებები.
- კიდურების და ხერხემლის სვეტის ორთეზირება
 - ორთეზირების განმარტება, ორთეზირების ჩვენება;
 - პათოლოგიები ნეირო-ძვალ-კუნთოვანი სისტემის დარღვევებით ორთეზირების საჭიროებით;
 - ორთეზირების პრინციპები, ორთეზების დასამზადებლად გამოყენებული მასალები;
 - ორთეზის დამზადება, ორთეზის მორგების შეფასება;
 - ფიზიკური თერაპია ორთეზირებისას;
 - ორთეზირების შემდგომი გართულებები.
- მოძრაობის დამხმარე საშუალებები
 - მოძრაობის დამხმარე საშუალებების განმარტება;
 - მოძრაობის დამხმარე საშუალებების სახეობები, მოძრაობის დამხმარე საშუალებების ჩვენების განსაზღვრა;
 - მოძრაობის დამხმარე საშუალების მორგება.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკური პრინციპები

ლექციების თემატური გეგმა:

- შეზღუდული ფუნქცია და ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკური პრინციპები. სამედიცინო სკრინინგი და დიფერენციული დიაგნოზი.
- რეაბილიტაციის გეგმა და პაციენტის სარეაბილიტაციო მართვის ძირითადი პრინციპები. გუნდური მუშაობის პრინციპები რეაბილიტაციაში.
- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ინტერვენციები სარეაბილიტაციო მართვის კონტინუუმში.
- ფიზიკური რეაბილიტაციის ფუნქციური გამოსავალი სარეაბილიტაციო მართვის კონტინუუმში.
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა ფიზიკურ რეაბილიტაციაში მობილურობის გამოხატული შეზღუდვის/უმომრატობისას.
- ანთება, ქსოვილების რეგენერაცია, დარღვეული ფუნქციის აღდგენა: ფიზიკური თერაპიის მნიშვნელობა.
- ტკივილის მართვა ფიზიკურ რეაბილიტაციაში.
- სამედიცინო სკრინინგი სპორტში. სპორტული დაზიანებების პრევენცია და რეაბილიტაცია.

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- მწვავე, ქვემწვავე რეაბილიტაცია; რეაბილიტაცია ქრონიკული დარღვევების დროს.
- კლინიკური გადაწყვეტილების მიღება;
- პაციენტის მართვის საფეხურები;
- პაციენტის გამოკვლევა: ანამნეზი, ორგანოთა სისტემების შეფასება, სინჯები და გაზომვები; ლაბორატორული მონაცემები; ასაკობრივი ნორმები.
- პაციენტის შეფასება. ფუნქციური დამოუკიდებლობა, ფიზიოლოგიური, ემოციური, პროფესიული და სოციალური საჭიროებები.
- სარეაბილიტაციო/ფიზიკური თერაპიის დიაგნოზი; უპირატესი პრაქტიკის მოდელები.
- რეაბილიტაციის მიზნები და შედეგები; სპეციფიური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური, დროში გაწერილი მიზნები (SMART); მოკლე და გრძელვადიანი მიზნები.
- რეაბილიტაციის პოტენციალი. რეაბილიტაციის პროგნოზი.
- სარეაბილიტაციო გეგმა და სარეაბილიტაციო მართვის ძირითადი პრინციპები;
- მულტიდისციპლინური რეაბილიტაციის გუნდი: გუნდური მუშაობის პრინციპები სარეაბილიტაციო პრაქტიკაში.
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფუნქციონირების საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICF): კატეგორიები, სტრუქტურა; ICF -ის დონეები (I-IV); მომრატობის დარღვევის/ების დადგენა/ ფიზიკური თერაპიის დიაგნოზი (ჯანმრთელობის მდგომარეობა (დაზიანება ან დაავადება): სხეულის სტრუქტურები და ფუნქციები, აქტივობები და მონაწილეობა/ჩართულობა);
- უნივერსალური სკალა, მახასიათებლების ხარისხის განსაზღვრა;
- გარემო ფაქტორები და მათი მოდიფიკაციის სტრატეგიები; პერსონალური ფაქტორები.
- ფიზიკური ფაქტორის შერჩევა, ფიზიკური ფაქტორების ეფექტები და გამოყენება მტკიცებითი მედიცინის ძირითადი პრინციპების საფუძველზე;
- ფიზიკური ფაქტორების გამოყენება ერთმანეთთან კომბინაციაში, ფიზიკურ ვარჯიშთან თანმიმდევრულ კავშირში, და მათი კომბინაცია სხვა სარეაბილიტაციო ინტერვენციებთან.
- სარეაბილიტაციო გეგმის ეფექტის შეფასება: პროცედურის/სამკურნალო ინტერვენციების

კომბინირების/მომიჯნავე სამკურნალო პროგრამების შედეგები;

- სარეაბილიტაციო პროგრამის და/ან მიზნების მოდიფიცირება, პაციენტის სამედიცინო უსაფრთხოების, ასისტირების აუცილებლობის, დაზიანების, უნარის შეზღუდვის, არსებული რესურსების, მკურნალობის პრიორიტეტების მიხედვით. ზომადი ფუნქციური გამოსავალი. გაწერის გეგმა.
- დოკუმენტაციის და სამედიცინო ჩანაწერების წარმოება რეაბილიტაციაში სარეაბილიტაციო დოკუმენტაცია SOAP ფორმატში, დაგეგმილი ინტერვენციების ჩამოყალიბება;
- დიფერენციული დიაგნოზი ფიზიკურ რეაბილიტაციაში და სხვა პროფესიონალთან გადაგზავნა/რეფერალი.
- მობილურობის გამოხატული შეზღუდვის/უმოდრაობის ფიზიოლოგიური ეფექტები; მწოლიარე ავადმყოფისა და უმოდრაობის შემთხვევაში ჟანგბადის ტრანსპორტის დეფიციტი; უმოდრაობის გავლენა ფიზიკური თერაპიის/სარეაბილიტაციო გასინჯვის, შეფასების, თერაპიის გეგმის შემუშავების, ინტერვენციისა და პროგრესის დადგენისას.
- პოზიციონირება საწოლში/მობილურობა, გადაბრუნების ტექნიკა, ტილტ მაგიდა/საწოლი, დიაგნოსტიკური პასიური მოძრაობის სიფართის ვარჯიში.
- ღრმა ვენების თრომბოზის/ფილვების სისხლძარღვების ემბოლიის, ნაწოლების, კონტრაქტურების და ორთოსტატიური ჰიპოტენზიის მონიტორირება პაციენტთან; პრევენციის პროგრამის შემუშავება და იმპლემენტაცია.
- ანთება და დაზიანებული ქსოვილების აღდგენა, ანთების ფაზები, მწვავე და ქრონიკული ანთება; ეთიოლოგია და პათოფიზიოლოგია ანთების კლინიკური მანიფესტაციის მიხედვით;
- თერაპიული ინტერვენციები, სარეაბილიტაციო მართვის მიზნების შესაბამისად; თერაპიის გავლენა პათოფიზიოლოგიურ მექანიზმებზე ანთების გვერდითი ეფექტების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;
- ფიზიკური ფაქტორების გამოყენება მწვავე და ქრონიკული ანთების სამკურნალოდ/ქსოვილების რეგენერაციის ხელშეწყობის მიზნით. თერმული ფიზიკური ფაქტორები: თერმული ენერჯის ფიზიკური პრინციპები; თერმული ფაქტორების გამოყენება მწვავე და ქრონიკული ანთების მკურნალობაში/ქსოვილების რეგენერაციის ხელშეწყობისთვის;
- ულტრაბგერა, ულტრაბგერის ეფექტები და კლინიკური გამოყენება ფიზიკურ თერაპიაში, გამოყენების პრინციპები და ტექნიკა, ჩვენებები და უკუჩვენებები.
- ტკივილის ნაირსახეობები, კლასიფიკაცია. ტკივილის რეცეპტორები, ნეიროპეპტიდები, სპეციფიკური ნერვული ბოჭკოების ძირითადი ტიპები, ტკივილის გადაცემის პერიფერული ნერვული გზები, ცენტრალური ნერვული ტრაქტები; სიმპატიკური ნერვული სისტემის მონაწილეობა ტკივილის ფენომენში, კომპლექსური რეგიონალური ტკივილის სინდრომი (CRPS);
- ანთების მედიატორების მონაწილეობა პერიფერული ნოციცეპტური ტკივილის გადაცემაში; პერიფერული ნოციცეპტური რეცეპტორების პათოფიზიოლოგიური ცვლილებების როლი ჰიპერალგეზიის და ალოდინიის მექანიზმებში;
- ტკივილის მოდულაციის თეორია. ტკივილის გაზომვა;
- ტკივილის მართვა: ფარმაკოლოგიური მიდგომა; ფიზიკური ფაქტორები;
- ელექტრული დენები, კატეგორიები, ეფექტები, ჩვენებები და უკუჩვენებები, გამოყენების ტექნიკა.
- საყრდენ-მამოდრავებელ სისტემაში შემავალი ქსოვილების აღდგენის სპეციფიკა; მოძრაობის შეზღუდვის სარეაბილიტაციო მიდგომები; მოძრაობის შეზღუდვის

მკურნალობა ფიზიკური ფაქტორების გამოყენებით.

- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის რეაბილიტაციის ეტაპები და მეთოდები; ფიზიკური თერაპიისა/ფიზიკური ფაქტორების და სამკურნალო ვარჯიშის სახეობები და მათი მნიშვნელობა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის რეაბილიტაციის პროცესში. ელექტრული დენების კლინიკური გამოყენება სტაციონარულ პირობებში და პორტატული აპარატურის მეშვეობით.
- ელექტრომაგნიტური გამოსხივება: ლაზერი და სინათლე, ეფექტები, გამოყენების ტექნიკა, ჩვენებები და უკუჩვენებები.
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სკრინინგი სპორტში. ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა სპორტული დაზიანების დროს;
- ფიზიკური რეაბილიტაციის კლინიკური პრინციპები სპორტში;
- კარდიო-რესპირაციული დაავადებების რისკ-ფაქტორების მართვის ზოგადი პრინციპები ფიზიკურ რეაბილიტაციაში.

სამკურნალო ვარჯიში

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- შესავალი სამკურნალო ვარჯიშის კურსში, სამკურნალო ვარჯიშის როლი და მიზნები ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესში.
- სამკურნალო ვარჯიში: მოწყობილობები, ინსტრუმენტები, სწავლების პრინციპები (ვერბალური, ვიზუალური, მანუალური);
- სამკურნალო ვარჯიშის ტექნიკა; სტატიკური და დინამიკური ვარჯიში; სამკურნალო ვარჯიში პაციენტთა სპეციფიკურ პოპულაციაში და დიაგნოზების შემთხვევაში; შესწავლა და კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
- ქსოვილების აღდგენის სტადიები და მათი კლინიკური ნიშნები, ქსოვილების დაზიანების გავლენა სახსრების მობილურობაზე და მოძრაობის სიფართოზე. ფუნქციონირების საერთაშორისო კლასიფიკაციის გამოყენება (ICF) სტრუქტურის დაზიანების და ფუნქციის დარღვევის, აქტივობისა და მონაწილეობის შეზღუდვის დასადგენად ქსოვილების აღდგენის სხვადასხვა ეტაპზე.
- სამკურნალო ვარჯიშები მოძრაობის სიფართოზე, კლინიკური ჩვენებები და უკუჩვენებები.
- გაწელვითი ინტერვენციის ტიპები, კლინიკური ჩვენებები და უკუჩვენებები.
- ვარჯიშები მოძრაობის სიფართოზე.
- კონცენტრული, ექსცენტრული, იზოტონური, იზოკინეტიკური, იზომეტრული, აქტიური, პასიური და აქტიურ-პასიური სამკურნალო ვარჯიშები პაციენტთა სპეციფიკურ პოპულაციაში და სხვადასხვა დიაგნოზის შემთხვევაში.
- სუნთქვითი ვარჯიშის ტექნიკა, სუნთქვითი და სპეციალური ვარჯიშების შეფარდება.
- სამკურნალო ვარჯიშის პროცედურების დოკუმენტირება SOAP-ჩანაწერების წარმოებით.
- აერობული ვარჯიში; რეზისტიული ვარჯიში; გამძლეობაზე და ძალაზე მიმართული ვარჯიშების ენერგიით უზრუნველყოფის სისტემები;
- ფუნქციური რეაბილიტაციის პრინციპები;
- რეზისტიული ვარჯიშის ეფექტი კუნთის ძალასა და გამძლეობაზე.
- ვარჯიში ტორსის კუნთების აქტივაციის მიზნით, რეგიონული დამოუკიდებლობის კონცეპცია;
- ზედა და ქვედა კიდურების ვარჯიშები;
- ხერხემლის სვეტის ფუნქციონირებისა და პოსტურის შენარჩუნება, ზურგი კუნთების

- განვითარებაზე მიმართული ვარჯიშები;
- სამკურნალო ვარჯიშის სესია/ პროცედურა: მოსამზადებელი, ძირითადი და დასკვნითი ვარჯიშები;
 - სამკურნალო ვარჯიშის დროს გამოყენებული სპეციფიური ინსტრუმენტები, მოწყობილობები, ინვენტარი (რეზინის ლენტები, დამხმარე ღვედები, ბურთები და სხვ.); მათი გამოყენების წესები, შესწავლა და კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
 - სამკურნალო ვარჯიშის პროგრამის შემუშავების ძირითადი პრინციპები: სიხშირე, ინტენსივობა, ხანგრძლივობა და ვარჯიშის ტიპი, სესია, გამეორებები, მათი შერჩევა სამკურნალო ვარჯიშის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.
 - სამკურნალო ვარჯიში ბალანსზე; ვარჯიშები ხანდაზმულ/გერიატრიულ პაციენტებთან; შესწავლა და კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
 - სახლში შესასრულებელი პროგრამის შემუშავების პრინციპები;
 - პროპრიოცეპტული ნეირო-მუსკულარული ფასილიტაციის ტექნიკა სამკურნალო ვარჯიშის პროგრამაში;
 - სპორტსპეციფიური ვარჯიში, სპორტსპეციფიური დაზიანებები, სხვადასხვა ტიპის სპორტული აქტივობები;
 - სპორტსპეციფიური ვარჯიშის პერიოდიზაცია;
 - კორექციული ვარჯიში;
 - წინა-სამეჯიბრო შეფასება და სპორტული დაზიანებების პრევენციის სტრატეგია.
 - ზედა და ქვედა კიდურების ვარჯიშები სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესების და შემუშავების კონტროლის მიზნით;
 - სამკურნალო ვარჯიში ქირურგიული ჩარევის შემდგომ;
 - სამკურნალო ვარჯიში მწვავე და ქვე-მწვავე სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში.

სამკურნალო მასაჟი

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- სამკურნალო მასაჟს ჩვენებები და უკუჩვენებები; რელაქსაციური და სტიმულაციური მასაჟის მეთოდთა, ილეთების ჩატარების თანმიმდევრობა, სიღრმე, რიტმი და ტემპი; სამკურნალო მასაჟის კომბინირების პრინციპები აღდგენითი თერაპიის სხვა საშუალებებთან;
- სამკურნალო მასაჟის ფიზიოლოგიური ზეგავლენა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებების დროს; სამკურნალო მასაჟის მეთოდის თავისებურება ტანდევობის დარღვევების დროს შტოფელის კლასიფიკაციის მიხედვით: ბრტყელი ზურგი, ბრტყელ-ჩაზნექილი ტანდევობა, მრგვალ-ჩაზნექილი ტანდევობა, მოკუზული ზურგი, სქოლიოზი;
- სამკურნალო მასაჟის მეთოდთა „გაყინული მხარი“ - ადჰეზიური კაფსულიტის დროს;
- სამკურნალო მასაჟის მეთოდთა როტატორული მანჟეტის დაავადების დროს;
- სამკურნალო მასაჟის მეთოდთა ართრიტებისა და ართროზების დროს;
- სამკურნალო მასაჟის მეთოდთა ბავშვებში კუნთოვანი კისერმრუდობის, მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიის, ბრტყელტერფიანობის და ფეხების ვალგუსური და ვარუსული დეფორმაციების დროს;
- სამკურნალო მასაჟის თავისებურებები ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის

დაზიანებებისა და დაავადებების დროს;

- სამკურნალო მასაჟის მეთოდთა ხერხემლის მალთაშორისი დისკის დეგენერაციული დაავადებების დროს: ოსტეოქონდროზი, სპონდილოზი, სპონდილოართროზი, პროტრუზია-პროლაფსი-თიაქარი;
- სამკურნალო მასაჟის მეთოდთა კისერ-გულმკერდის და გავა-წელის რადიკულიტის, საჯდომი ნერვის ნევრალგიისა და ნევრიტის დროს;
- სამკურნალო მასაჟის ჩატარების თავისებურება ჰემორაგიული და იმემიური ინსულტის დროს;
- სამკურნალო მასაჟის ჩატარების თავისებურება სახის ნერვის პერიფერიული დამბლისა და სამწვერა ნერვის ნევრალგიის დროს;
- სამკურნალო მასაჟი ტრავმატოლოგიაში: დაჟეჟილობის, ამოვარდნილობის, სახსართა იოგების დაჭიმულობის დროს (მხრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლის, კოჭ-წვივის სახსრები);
- სამკურნალო მასაჟის ჩატარების თავისებურება მოტეხილობების დროს: იმობილიზაციის შემდგომ და აღდგენით პერიოდებში;
- სამკურნალო მასაჟის ჩატარების თავისებურება სიმსუქნის დროს;
- სამკურნალო მასაჟის ჩატარების თავისებურება შინაგანი ორგანოების დაავადებების დროს.

ადაპტიური ფიზიკური აღზრდა

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- შესავალი ადაპტიურ ფიზიკურ აღზრდაში (აფა) – შინაარსი, განმარტება, მიზანი და ამოცანები. აფა-ის განვითარების ისტორია.
- ადაპტიური სპორტი (ას) – განვითარების ისტორია, პარაოლიმპიური მოძრაობა და პარაოლიმპიური თამაშები. ინტეგრაციული კონტინიუმი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა საწვრთნო პროცესზე დასწრება თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრში.
- ინკლუზიური მოძრაობა, ორგანიზაციები, კანონმდებლობა, სერვის-პროვაიდერები.
- ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა (ისპ) – მიმოხილვა, ისპ-ის ძირითადი კომპონენტები. შეზღუდული შესაძლებლობების განსაზღვრა და გამოვლენა.
- გაზომვების და შეფასების სტრატეგია. შეფასების სტანდარტები (საშუალო ასაკობრივი ნორმები და ნორმატივები). სტანდარტიზაციის სტრატეგია და ალტერნატიული სტრატეგია. ალტერნატიული სტრატეგიის ტიპები.
- ტესტები და გაზომვები, რომლებიც გამოიყენება ადაპტიურ ფიზიკურ აღზრდაში („სტანდარტული“ და „ალტერნატიული“ ტესტები).
- ფიზიკური ჯანმთელობის და ფიზიკური აქტივობის შეფასება
- აერობული შესაძლებლობების შეფასება.
- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის შეფასება: კუნთური ძალა და გამძლეობა; მოქნილობის შეფასება.
- სპეციალური ნაწილი – მხედველობის დარღვევები: განმარტება, ძირითადი მიზეზები.
- მხედველობის დარღვევების მქონე პირთა დახასიათება: ემოციური და სოციალური

სფეროს თავისებურები. აფა მხედველობის დაქვეითების მქონე ახალგაზრდებისათვის.

- აფა სმენის პრობლემების მქონე ახალგაზრდებისათვის.
- აფა ცერებრალური დამბლის და ტვინის ტრავმული დაზიანების მქონე ახალგაზრდებისათვის.
- აფა დაუნის სინდრომის მქონე პაციენტებისათვის.
- აფა ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიური სინდრომის მქონე ახალგაზრდებისათვის.
- ადაპტიური აღჭურვილობის, სივრცის, გარემოს, აქტივობების და სწავლის მეთოდების მოდიფიცირების მეთოდები.
- დაკვირვება შშმ მოსწავლეებზე, რომლების ჩართულნი არიან აფა პროგრამაში რეაბილიტაციისა და სოციალური ადაპტაციის ცენტრში „აისი“.

ფიზიკური რეაბილიტაცია პულმონოლოგიაში

ლექციების თემატური გეგმა:

- სასუნთქი სისტემის მწვავე და ქრონიკული ობსტრუქციული და რესტრიქციული პათოლოგიები.
- სასუნთქი სისტემის დაავადებების რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპები.
- სასუნთქი სისტემის დაავადების მქონე პაციენტის შეფასება. სასუნთქი სისტემის ფუნქციური სინჯები.
- ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა და დანიშვნა რესპირაციული რეაბილიტაციის კონტექსტში.
- ფიზიკური ვარჯიშების დანიშვნა ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დროს.
- საყოფაცხოვრებო აქტივობების შესრულების უნარი და ფსიქოსოციალური ქცევითი ჩარევა.
- ქრონიკული ფილტვ-გულის უკმარისობის მქონე პაციენტების სარეაბილიტაციო მართვის თანამედროვე მიდგომები.

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- რესპირაციული რეაბილიტაციის განსაზღვრება, ძირითადი მიზნები და ამოცანები;
- სასუნთქი სისტემის დაავადებების რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპები;
- სასუნთქი სისტემის დაავადებების რისკ ფაქტორები და რისკის სტრატეგიკაცია;
- სასუნთქი სისტემის მწვავე და ქრონიკული ობსტრუქციული და რესტრიქციული პათოლოგიები;
- სასუნთქი სისტემის დაავადებების გამოსავლის შეფასება;
- რესპირაციული რეაბილიტაციის ჩვენებების დადგენა;
- რესპირაციული რეაბილიტაციის უკუჩვენებები;
- რესპირაციული რეაბილიტაციის პროგრამის შედგენა;
- სასუნთქი სისტემის დაავადების მქონე პაციენტის შეფასება;
- შრომისუნარიანობის სინჯის ჩატარება სასუნთქი სისტემის დაავადების მქონე პაციენტებში, ტოლერანტობა ფიზიკური დატვირთვის და საყოფაცხოვრებო აქტივობების მიმართ;
- ფიზიკური ვარჯიშის დროს ჰიპოქსემიის დონის დადგენა;

- სასუნთქი სისტემის ფუნქციური სინჯები;
- რესპირატორული და პერიფერული კუნთების ძალის შეფასება;
- საყოფაცხოვრებო აქტივობების შესრულების უნარის შეფასება, კოგნიტური ფუნქციის და დეპრესიის ხარისხის შეფასება;
- ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა და დანიშვნა;
- ფიზიკური ვარჯიშის ზედამხედველობა და დამოუკიდებელი ვარჯიშები, დამხმარე საშუალებები ფიზიკური ვარჯიშის დროს;
- ფიზიკური ვარჯიშის სპეციფიური შეზღუდვები ფილტვის ობსტრუქციული დაავადების დროს;
- ფსიქოსოციალური ქცევითი ჩარევა;
- მულტი/ინტერდისციპლინური მიდგომა რესპირაციული რეაბილიტაციის მიმართ;
- სუნთქვითი თერაპია: სასუნთქი გზების რეგულაცია, სუნთქვითი ვარჯიშის სტრატეგია, ენერჯის ეკონომია და შრომის რაციონალიზაციის ტექნიკა;
- სუნთქვის ტექნიკა – დიაფრაგმული სუნთქვა, მოკუმული ტუჩებით სუნთქვა, სუნთქვითი ვარჯიშები წინხნეში;
- გულმკერდის ფიზიკური თერაპია - პოსტურალური დრენაჟი, გულმკერდის პერკუსია და ვიბრაცია;
- სუნთქვითი მუსკულატურის ძალა და ვარჯიში გამძლეობაზე;
- რესპირაციული რეაბილიტაციის შედეგების შეფასების თავისებურებები;
- პაციენტის განათლება არსებული დაავადების შესახებ, დამოუკიდებელი მოვლის უნარჩვევები; ვენტილატორული თერაპია, ოქსიგენოთერაპია.

ფიზიკური რეაბილიტაცია კარდიოლოგიაში

ლექციების თემატური გეგმა:

- ფიზიკური რეაბილიტაცია გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს, რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპები;
- მულტი/ინტერდისციპლინური გუნდური მიდგომა კარდიოვასკულურ რეაბილიტაციაში
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების ადაპტაცია ფიზიკურ დატვირთვებზე.
- კორონარული არტერიების დაავადების რისკ ფაქტორები, რისკის სტრატეგიკაცია კარდიორეაბილიტაციის კონტექსტში.
- ფიზიკური ვარჯიშების დანიშვნა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს.
- არტერიული ჰიპერტენზია, გამოკვლევა, რეაბილიტაციური მეთოდები. ფიზიკური ვარჯიშების როლი ჰიპერტენზიის დროს
- მიოკარდის ინფარქტი, რეაბილიტაცია პოსტინფარქტულ პერიოდში.
- კარდიორეაბილიტაცია გულის უკმარისობის დროს.
- პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებები. სარეაბილიტაციო პროგრამები დაავადების სხვადასხვა ფაზაში, ფიზიკური ვარჯიშის სამკურნალო როლი.

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- ფიზიკური რეაბილიტაცია გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს, განსაზღვრება, მიზნები და ამოცანები;
- კარდიოვასკულური რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპები;
- კარდიოვასკულური რეაბილიტაციის პროგრამის შედგენა;
- მულტი/ინტერდისციპლინური მიდგომა კარდიოვასკულურ რეაბილიტაციაში;
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების ადაპტაცია ფიზიკურ დატვირთვებზე;
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების კლინიკური შეფასება;
- გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების სტრესს ტესტი და ტოლერანტობა ფიზიკური დატვირთვის მიმართ;
- ანგინალური ტკივილის და ქოშინის შეფასების სკალები;
- გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამძლეობის შეფასება, აღდგენის ფაზა;
- კარდიორეაბილიტაციის ჩვენებები და უკუჩვენებები;
- კორონარული არტერიების დაავადების რისკ ფაქტორები, რისკის სტრატეფიკაცია;
- პაციენტთა ფუნქციური უნარიანობის კლასიფიკაციის გამოყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტებში ფიზიკური ვარჯიშების დანიშვნის რისკის სტრატეფიკაციის მიზნით;
- ფიზიკური ვარჯიშების დანიშვნა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს;
- ფიზიკური ვარჯიშების ტიპები;
- შედეგის შეფასების სპეციფიკა კარდიორეაბილიტაციაში;
- სიმსუქნე, მეტაბოლური სინდრომი;
- არტერიული ჰიპერტენზია, გამოკვლევა, რეაბილიტაციური მეთოდები. ფიზიკური ვარჯიშების დანიშვნა ჰიპერტონიის მქონე პაციენტებისთვის;
- გულის სარქვლოვანი მანკების მქონე პაციენტების რეაბილიტაცია, ფიზიკური ვარჯიშები, ასაკობრივი თავისებურებები და მახასიათებლები;
- მიოკარდის ინფარქტი, რეაბილიტაცია პოსტინფარქტულ პერიოდში;
- მიოკარდის ინფარქტის შემდგომი რეაბილიტაციის ფაზები;
- გულის უკმარისობის მქონე პაციენტების რეაბილიტაცია;
- რეაბილიტაცია კარდიომიოპათიების დროს;
- რეაბილიტაცია გულ-სისხლძარღვთა ქირურგიული ინტერვენციების შემდეგ;
- კარდიოვასკულური დაავადებების პრევენცია (პირველადი, მეორეული);
- პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებები.
- არტერიების ოკლუზიური დაავადებები: კლინიკური ნიშნები, გამოკვლევის მეთოდები, სარეაბილიტაციო პროგრამები დაავადების სხვადასხვა ფაზაში, ფიზიკური ვარჯიშის სამკურნალო როლი;
- ამპუტაციის შემდგომი რეაბილიტაცია, ტაკვის მოვლისა და პროთეზირების საკითხები სისხლძარღვთა პათოლოგიის დროს.
- ვენური უკმარისობა: ღრმა ვენების თრომბოზი, კლინიკური ნიშნები, მკურნალობა და პრევენცია, სარეაბილიტაციო ღონისძიებები;
- ქვედა კიდურების ქრონიკული წყლულები/ვარიკოზული წყლულები, სარეაბილიტაციო

ღონისძიებები;

- ლიმფური სისტემა. ლიმფური შეშუპება, ლიმფური შეშუპების, კლინიკური კლასიფიკაცია, ფიზიკური ინტერვენციები ლიმფური შეშუპების დროს, კომპრესიული თერაპია ლიმფური შეშუპების დროს, მანუალური ლიმფოდრენაჟი, კომპლექსური თერაპია.

ფიზიკური რეაბილიტაცია ბავშვთა და მოზარდთა ასაკში

ლექციების თემატური გეგმა:

- გენეტიკური დაზიანებების კლასიფიკაცია; ქრომოსომული დაზიანებები
- ბავშვის ფიზიკური აქტივობა და ფიზიკური ჯანმრთელობა; საყრდენ-მამოძრავებელი სიტემის დაზიანება - ბავშვთა რევმატოიდული ართრიტი.
- იდიოპათიური და თანდაყოლილი სქოლიოზი.
- ნერვკუნთოვანი პათოლოგიები ბავშვთა ასაკში.
- ცერებრალური დამბლა. კლასიფიკაცია, დიაგნოზი, პროგნოზი და გამოსავალი.
- ადრეული სარეზილიტაციო ჩარევის მოდელები ბავშვებში და გარემო ფაქტორები.

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- გენეტიკური დაზიანებების კლასიფიკაცია;
- ქრომოსომული დაზიანებები;
- ბავშვის ფიზიკური აქტივობა და ფიზიკური ჯანმრთელობა;
- საყრდენ-მამოძრავებელი სიტემის დაზიანება - ბავშვთა რევმატოიდული ართრიტი;
- სახსრების ფუნქციური გამოკვლევა და ტკივილის მართვა;
- ჰემოფილია და სახსრების ქრონიკული დაზიანება;
- იდიოპათიური და თანდაყოლილი სქოლიოზი; მკურნალობის ქირურგიული და არაქირურგიული მეთოდები;
- სქოლიოზის პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;
- კიფოზი და ლორდოზი: პათოგენეზი და მართვა;
- თანდაყოლილი კისერმრუდობა - პათოგენეზი და მართვა;
- ტერფის დეფორმაცია ართროგრიპოზის დროს;
- დისპლაზია და სამკურნალო ვარჯიშების დაგეგმვა;
- კოორდინაციის და ფიზიკური ვარჯიშების როლი მოტორული და კოგნიტიური ფუნქციის მოშლილობის დროს;
- ცერებრული დამბლა. კლასიფიკაცია, დიაგნოზი, პროგნოზი და გამოსავალი;
- მანუალური მეთოდებისა და ფიზიკური ვარჯიშების მიზანი და შინაარსი ცერებრული დამბლის დროს;
- ბრონქული ასთმა და სასუნთქი სისტემის რეზილიტაცია ბავშვებში;
- თანდაყოლილი გულის მანკები და რეზილიტაციის მეთოდები პოსტოპერაციულ პერიოდში;
- ადრეული სარეზილიტაციო ჩარევის მოდელები ბავშვებში და გარემო ფაქტორები.

ფიზიკური რეაბილიტაცია ნევროლოგიაში

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

თავის ტვინის სიხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა (ინსულტი)

- ეპიდემიოლოგია და პრობლემის აქტუალობა;
- ძირითადი გამომწვევი მიზეზები და რისკ ფაქტორები (სისხლძარღვების ათეროსკლეროზი, ჰიპერტენზია, მოციმციმე არითმია და სხვ.);
- ფიზიკური ვარჯიშის როლი ინსულტის პრევენციაში და მისი დაგეგმვა;
- ინსულტის გავლენა ნეიროკუნთოვან ფუნქციაზე;
- ინსულტის შემდგომი მოტორული ფუნქციის აღდგენის მექანიზმები;
- ინსულტის შემდგომი აღდგენის პროცესების გაუმჯობესებაზე მიმართული სამედიცინო ინტერვენციები;
- გარემო ფაქტორების მოდიფიკაცია და პაციენტის ქცევის კორექციაზე მიმართული ინტერვენციები ინსულტის შემდგომი მოტორული ფუნქციის დარღვევების შემცირების მიზნით;
- სამკურნალო ვარჯიშები მოტორული ფუნქციის კონტროლისათვის;
- ვარჯიშები ბალანსზე და კუნთების ძალაზე;
- ვარჯიშები მოძრაობის კოორდინაციის დარღვევების დროს;

თავის და ზურგის ტვინის დაზიანება (თტდ და ზტდ)

- თავისა და ზურგის ტვინის დაზიანების Mმიზეზები და ეპიდემიოლოგია;
- ტკივილი;
- რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპები; სამკურნალო ვარჯიშები; ვარჯიშებთან დაკავშირებული რისკები;
- მოტორული ფუნქციის ელექტროსტიმულაციის ძირითადი პრინციპები.

პარკინსონის დაავადება

- ეპიდემიოლოგია და პრობლემის აქტუალობა;
- რისკ ფაქტორები, პათოგენეზი და კლინიკური სურათი;
- მკურნალობის ძირითადი ასპექტები;
- რეაბილიტაცია, გარემო ფაქტორების მოდიფიკაცია და ადაპტაცია პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის; სამკურნალო ვარჯიშები; ადაპტაციური უნარ-ჩვევები.

გაფანტული სკლეროზი

- ეპიდემიოლოგია და პრობლემის აქტუალობა;
- რისკ ფაქტორები, პათოგენეზი და კლინიკური სურათი;
- მკურნალობის ძირითადი ასპექტები;
- რეაბილიტაცია, გარემო ფაქტორების მოდიფიკაცია და ადაპტაცია პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის; სამკურნალო ვარჯიშები; ადაპტაციური უნარ-ჩვევები.

ფიზიკური რეაბილიტაცია გერიატრიაში

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- გერიატრიული რეაბილიტაციის განსაზღვრება და ძირითადი პრინციპები;
- უნარშეზღუდულობის პარადიგმა;
- ხანდაზმული პაციენტების უნარშეზღუდულობაზე მოქმედი ფაქტორები;
- დაბერების პროცესის გავლენა გულ-სისხლძარღვთა და საყრდენ-მამოძრავებელ სისტემებზე;
- ძვლის მინერალური სიმკვრივის ცვლილებები. ოსტეოპენია, ოსტეოპოროზი;
- ოსტეოპოროზის მქონე პაციენტების მკურნალობის და რეაბილიტაციის თანამედროვე სტრატეგია და მეთოდები;
- ქრონიკული დაავადებების აკუმულაცია;
- ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა/ცხოვრების წესი – ჰიპოდინამია;
- გერიატრიული რეაბილიტაციის პროგრამის შედგენა;
- მულტიდისციპლინური გუნდური მიდგომა გერიატრიულ რეაბილიტაციაში;
- ფიზიკური ვარჯიშის გავლენა ფიზიოლოგიური დაბერების პროცესზე;
- აერობული ვარჯიშის თავისებურებები გერიატრიულ პაციენტებში;
- ვარჯიში რეზისტენტობაზე/კუნთის ძალაზე გერიატრიულ პაციენტებში, თავისებურებები;
- ფიზიკური ვარჯიშის გავლენა ფუნქციონირებასა და უნარშეზღუდულობაზე გერიატრიულ პაციენტებში;
- ფიზიკური შრომისუნარიანობის სინჯის ჩატარება ხანდაზმულ პაციენტებში;
- პერიფერული კუნთების ძალის შეფასება, საყოფაცხოვრებო აქტივობების შესრულების უნარის შეფასება, კოგნიტური ფუნქციის შეფასება;
- ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა და დანიშვნა გერიატრიულ პაციენტებში;
- ფსიქოსოციალური ქცევითი ჩარევა, ხანდაზმული პაციენტების ფიზიკური ვარჯიშებისადმი მოტივაციის საკითხი;
- გერიატრიული რეაბილიტაციის შედეგის შეფასება.

ფიზიკური რეაბილიტაცია ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში

პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა:

- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ტრავმული დაზიანების პათოფიზიოლოგია; მწვავე ანთებითი, პროლიფერაციის, რემოდელირების/მომწიფების ფაზა და შესაბამისი ფიზიკური რეაბილიტაციის სტადიები: მწვავე, ქვემწვავე, ფუნქციური აღდგენის სტადიების თავისებურებები ტრავმის შემდგომი და ორთოპედიული პათოლოგიის დროს. RICE-თერაპია და მისი განხორციელების პრინციპები.
- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების ფუნქციური შეფასება; მოძრაობის სიფართის შეფასება, სახსრებში მოძრაობის სიფართის შეზღუდვა.
- კუნთების ფუნქციის შეფასება: ძალა, ტონუსი; ძვლის, მყესის, ხრტილის, იოგის, ნერვული ქსოვილის და კუნთის შეხორცების ფიზიოლოგია.
- ამოვარდნილობის, ქვეამოვარდნილობის, დაჟეჟილობის, ჰემატომის და შეშუპების

პროცესების სარეაბილიტაციო მართვა.

- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანებისას სარეაბილიტაციო პროგრამის შედგენის ძირითადი პრინციპები: შეფასება, გამოკვლევა, ფუნქციური დიაგნოზი, პროგნოზი, ინტერვენცია და გამოსავალი.
- ნაწიბუროვანი ქსოვილის განვითარება და მისი სარეაბილიტაციო მართვა.
- ფიზიკური რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპები მხრის დაზიანების დროს.
- ფიზიკური რეაბილიტაცია მხრის როტატორული სარტყელის დაზიანების დროს.
- არასტაბილური მხრის სახსრის მკურნალობა და ფიზიკური რეაბილიტაცია.
- ადჰეზიური კაფსულიტი (“გაყინული მხარი”), მკურნალობა და ფიზიკური რეაბილიტაცია.
- მხრის სახსრის ბაგის დაზიანების შემდგომი ფიზიკური რეაბილიტაცია.
- ორთავა კუნთის მყესის დაზიანების შემდგომი ფიზიკური რეაბილიტაცია.
- იდაყვის სახსრის პოსტტრავმული კონტრაქტურის პრევენცია და ფიზიკური რეაბილიტაცია.
- ლატერალური და მედიალური ეპიკონდილიტების დროს ფიზიკური რეაბილიტაცია.
- მუხლის წინა ჯვარედინი იოგის ტრავმული დაზიანება და მისი ფიზიკური რეაბილიტაცია.
- მუხლის ართროფიბროზი, მისი მკურნალობა და ფიზიკური რეაბილიტაცია.
- მუხლის მედიალური და ლატერალური კოლატერალური იოგების ტრავმული დაზიანება და მათი ფიზიკური რეაბილიტაცია.
- მენისკის დაზიანების შემდგომი რეაბილიტაცია.
- კვირისტავის ამოვარდნილობის და ჩვეული ამოვარდნილობის რეაბილიტაციური მართვა.
- კოჭწვივის სახსრის დაჭიმულობის დროს ფიზიკური რეაბილიტაცია.
- რეაბილიტაცია აქილევსის მყესის ტრავმული დაზიანების დროს.
- ტერფის ძვლების სტრეს-მოტეხილობები და მათი სარეაბილიტაციო მართვა.
- ხერხემლის დეფორმაციები: სქოლიოზი, ლორდოზი, კიფოზი. იდიოპათიური სქოლიოზის დიაგნოსტიკა, პროგნოზი, მკურნალობის და ფიზიკური რეაბილიტაციის მიზნები და მეთოდები მოზრდილებში.
- წელის ტკივილი და მასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სტრატეგიები.
- ფიზიკური რეაბილიტაცია წელის დისკეპტომიის დროს.
- სპონდილოლისტეზი და მისი რეაბილიტაცია.
- სარეაბილიტაციო გეგმა და სარეაბილიტაციო მართვის ძირითადი პრინციპები მენჯისა და მუხლის ენდოპროთეზირების შემდგომ.